



მენარმე ქალთა ფონდი  
Fund of women Entrepreneurs

# ქალი და ბიზნესი

## Woman and Business

№4



გამოცემას აფინანსებს EED - ეკლესიების  
განვითარების სამსახური (გერმანია)



Publication is financially supported by  
EED (Germany)

ბიულეტენში გამოთქმული მოსაზრებები,  
შესაძლოა არ ემთხვეოდეს EED-ს მოსაზრებებს

The views expressed in the bulletin does not  
necessarily represent the views of EED

# ქალი და ბიზნესი

## N:4

### *ს ა მ რ ე ვ ი*

შეხვედრა ფოთში	←	4
„ახალი ორგანიზაციის გამონვევები და მოლოდინები“	←	6
მორიგი ტრენინგი - ახალი სამუშაო ადგილები	←	8
კვლევის შედეგები	←	9
სამუშაო ადგილები ხონში	←	10
ექვსთვიანი მუშაობის შედეგები	←	11
ოთხი დღე ტრენინგზე	←	12
პროფესიული კურსები ფოთში	←	13
თქვენ გისმენთ იურისტი	←	14

## შეხვედრა შოთში

- ჩატარებული ექვსთვიანი მუშაობის შედეგები, განხორციელებული საქმიანობის ანალიზი, ქუთაისელ და ფოთელ ბენეფიციარებს შორის ინფორმაციის გაცვლა-გაზიარება და სამომავლო გეგმების დასახვა - დაახლოებით ასეთი იყო მენარმე ქალთა მიერ ფოთში გამართული მრგვალი მაგიდის მიზანი.

გასვლით შეხვედრას ესწრებოდნენ მენარმე ქალთა ფონდის წარმომადგენლები, ფონდის ბენეფიციარები - მენარმე ქალები, პროფესიული გადამზადების კურსების მსმენელები ქუთაისიდან და ფოთიდან.

შეხვედრის დასაწყისში ფონდის თავმჯდომარემ მერი გელაშვილმა ისაუბრა იმ საქმიანობებზე, რომლის განხორციელებაც პრიორიტეტულია ორგანიზაციისთვის. ყურადღება გაამახვილა საკითხებზე, რატომ დაიწყო მუშაობა მაინცდამაინც ფოთში. „ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ფოთში ცოტაა ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დევნილებთან მუშაობენ. გარდა ამისა, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში იგეგმება წყალტუბოდან დევნილების ჩასახლება ფოთში (მალთაყვავში). ამიტომაც მნიშვნელოვანი იქნება მენარმე ქალთა ფონდის მიერ ახლადჩასახლებული დევნილი ქალების მხარდაჭერა მცირე ბიზნესში ჩასართავად და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვებაში.

მრგვალი მაგიდის შეხვედრაზე ნაჩვენებები იქნა ფონდის მიერ შექმნილი ფილმი „ქალთა მენარმეობა - ბიზნესი თუ თავის გადარჩენა“. ჩვენების შემდეგ მონაწილეებმა საკუთარი მოსაზრებაც გამოთქვეს. მათი აზრით, ქალების ჩართვა მცირე ბიზნესში სერიოზული მხარდაჭერაა მათი ოჯახებისათვის, რადგან ხშირად ეს ბიზნესი საოჯახო ბიზნესად იქცევა და ოჯახის დანარჩენი წევრებიც არიან დასაქმებულნი.

მოკლედ იქნა მიმოხილული 2010 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული საქმიანობა: ტრენინგები (ქუთაისში, ზესტაფონში, ხონში), სამუშაო ადგილების შექმნა და მონიტორინგი, საინფორმაციო საქმიანობა (ყურნალი, ტელესიუჟეტები და ვებ-გვერდი). აღსანიშნავია ისიც, რომ ფონდის თანამშრომლებს აქვთ განვითარების შესაძლებლობა. ესწრებიან სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებს.

პროექტის ასისტენტმა, დიანა ყურაშვილმა ისაუბრა მცირე ბიზნესის საფუძვლებში ტრენინგის ჩატარების პროცესზე, მის მნიშვნელობაზე.

„ტრენინგების ჩატარებას წინ უსწრებს სოციოლოგიური კვლევა-ანკეტირება, რათა გამოვლინდეს ადგილობრივ დონეზე მცირე ბიზნესის ყველაზე მოთხოვნადი სფეროები და ქალების სურვილი ჩაერთვნენ ბიზნეს-საქმიანობაში.

ტრენინგზე განიხილება როგორც თეორიული მასალა, ასევე პრაქტიკული სავარჯიშოები. ტრენინგის დასრულების შემდეგ ინერება ბიზნეს-პროექტები და გამარჯვებულთა შორის ხვდება მხოლოდ მდგრადი და რეალურად განხორციელებადი პროექტის ავტორები. რის შემდეგაც ხდება მათი სამუშაო ადგილების ორგანიზება.

ის ქალბატონები, რომელთა ბიზნეს-გეგმებიც ვერ ხვდება გამარჯვებულთა შორის, არ კარგავენ იმედს და დამოუკიდებლად იწყებენ მიღებული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკაში.

რაც შეეხება ფოთს, აქ კვლევა უკვე ჩატარებულია. 50 გამოკითხულიდან მხოლოდ სამმა დააფიქსირა უარი ბიზნესის დაწყებაზე. გამოიკვეთა სხვადასხვა სფეროები ბიზნეს-საქმიანობის დასაწყებად.

შეხვედრაზე ისაუბრეს საინფორმაციო გამოცემების მნიშვნელობაზე. აღინიშნა, რომ ყურნალის გვერდებზე მოხვედრა ქალებს აძლევს სტიმულს უფრო მეტი ენთუზიაზმით იმუშაონ თავიანთ ბიზნეს-საქმიანობაში.

ყურადღება გამახვილდა სახელმძღვანელოზე „მცირე ბიზნესის განვითარების საფუძვლები“. აღინიშნა, რომ წიგნის შექმნისას აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ მარტივი და გასაგები ენით დაწერილიყო, რათა ნებისმიერი მკითხველისთვის ადვილად გასაგები ყოფილიყო მასში მოცემული თეორიული და პრაქტიკული მასალები.

რადიო და ტელეგადაცემების მნიშვნელობაზე ნანა ჯიქიამ ისაუბრა: „ის, რაც კეთდება ბეჭდვითი გამოცემის კუთხით მკითხველისთვის მნიშვნელოვანია. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენი საქმიანობის გაშუქება ტელევიზიით და მაყურებელთა ფართო სპექტრისთვის მიწოდება.

იმის გასარკვევად, რამდენად უყურებენ ჩვენს სიუჟეტებს, ვაკეთებთ ანკეტირებას. 150 გამოკითხულიდან 97-მა ნახა სიუჟეტი.

ბევრი გვეხმარება სიუჟეტის ჩვენების შემდეგ, რეკავენ და კითხულობენ როგორ შეიძლება მოხდენენ ტრენინგზე. უმრავლესობას მცირე ბიზნესი ეკონომიკური და სოციალური დონის ამალგების ერთ-ერთ საუკეთესო გზად მიაჩნია.

ნატრული ნაჭყებიამ ისაუბრა, თუ რას ნიშნავს სესხის აღება და რა უნდა გაითვალისწინოს ადამიანმა სესხის აღებისას, რამდენად მნიშვნელოვანია ფინანსების სწორად გადანაწილება მენარმეობის განვითარებაში.

მრგვალი მაგიდის შეხვედრას ესწრებოდნენ აგრეთვე ქალბატონები ქუთაისიდან, რომლებმაც გაიარეს პროფესიული მომზადება სხვადასხვა კურსებზე, აგრეთვე ის ქალბატონები, რომლებმაც, მენარმე ქალთა ფონდიდან გრანტები მოიპოვეს სამუშაო ადგილების შესაქმნელად. მათ თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს შეკრებილებს.

ამის შემდეგ სიტყვა მასპინძლებს გადაეცათ:

რუსიკო ჯგუბურია (ინგლისური ენის პედაგოგი, ფოთი):

„პროფესიული გადამზადების კურსები წარმატებით მუშაობს. დიდი გამოცდილება მივიღე როგორც პედაგოგმა. საინტერესო იყო სხვადასხვა ასაკის ქალბატონებთან მუშაობა, ვინაიდან მათი მხრიდან იგრძნობა დიდი ენთუზიაზმი დაეუფლონ ენას. არის მოთხოვნა მსგავსი კურსების გაგრძელებისა. კომპიუტერული უნარ-ჩვევების და ინგლისურის კურსებთან ერთად, კარგი იქნებოდა საბუღალტრო კურსების განხორციელებაც“.

შეხვედრის დასასრულს, მერი გელაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია ორი ორგანიზაციის გაერთიანების შესახებ. ეს ორგანიზაციებია: „პური მსოფლიოსთვის“ და EED. ისაუბრა დოკუმენტზე - „ახალი ორგანიზაციის გამონვევები და მოლოდინები“. იგი უკვე ითარგმნა ქართულ ენაზე, რათა ორგანიზაციის თანამშრომლებს ქონოდათ საშუალება გაცნობოდნენ მას. ივეგმება ჟურნალში „ქალი და ბიზნესი“ დაიბეჭდოს დოკუმენტის მოკლე მიმოხილვა ახალი ორგანიზაციის გამონვევებისა და მოლოდინების შესახებ. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ გაერთიანებული ორგანიზაცია იზიარებს შეხედულებას გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაზე, სამოქალაქო საზოგადოების აუცილებლობაზე და დიდ როლს ანიჭებს წამყვან საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ქსელებს რეგიონულ დონეზე.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ მისასალმებელია ფონდის მხრიდან გამოვლენილი ინიციატივა გააქტიუროს მუშაობა ფოთში მცხოვრებ დევნილ ქალებთან. დაიგეგმა ტრენინგის ჩატარება მცირე ბიზნესის საფუძვლებში, შესაბამისად სამუშაო ადგილების შექმნა. გათვალისწინებული იქნა რეკომენდაცია და სექტემბრის თვიდან ფოთში მოხდება საბუღალტრო კურსების ორგანიზება.

ცხადია, რომ მსგავსი გავლენით შეხვედრები და უშუალო გარემოს შექმნა, ხელს უწყობს ინფორმაციის გაცვლას, გამოცდილების გაზიარებას როგორც ბენეფიციარებს, ასევე თვითონ ორგანიზაციასა და ბენეფიციარებს შორის.

**მირანდა გვანცელაძე**



# „ახალი ორგანიზაციის გაშვება და მოლოდინები“

ნინა ნომერში ჩვენ უკვე ვწერდით თბილისში გამართულ რეგიონალურ პარტნიორულ კონსულტაციაზე, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა გაერთიანების პროცესში მყოფი ორი ორგანიზაციის (EED და BfdW) როლისა და მიზნის განსაზღვრა. პირველმა შეხვედრამ საქმიანი გაგრძელება ჰპოვა, რომელშიც მენარმე ქალთა ფონდიც აქტიურად ჩაერთო: გთავაზობთ ამონარიდს იმ წერილებიდან რომელიც სწორედ ამ კონსულტაციების შემდეგ გაგრძელდა:

პატივცემულო კოლეგებო, პატნიორებო, მეგობრებო, თბილისში პარტნიორულ საკონსულტაციო შეხვედრაზე ჩვენ გთხოვთ დახმარება იმ გამოწვევების განსაზღვრაში, რომელიც მომავალ ათწლეულებში შეიძლება გამოსცადონ გაერთიანებულმა ორგანიზაციებმა: EED და BfdW- იმ.

ჩვენმა პარტნიორებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს ამ საქმიანობაში და უპასუხეს შეკითხვებს. ამგვარად, საკმაოდ ბევრი მოსაზრებები და შემოქმედებითი იდეები შეგროვდა.

პროექტის გუნდმა მოახდინა ყველა პასუხის ანალიზი და გააერთიანა კვლევები: „ახალი ორგანიზაციის გამომწვევები და მოლოდინები“. კონსულტაციის პროცესი გაგრძელდება და მუდმივად იქნებით ინფორმირებული გაერთიანების პროცესის მომდევნო ეტაპის შესახებ.

საუკეთესო სურვილებით

ოლივერ მარტინი  
მსოფლიო პროგრამების განყოფილების თავმჯდომარე

ბატონო ოლივერ მარტინი!

გმადლობთ მონოდეტული ინფორმაციისათვის „ახალი ორგანიზაციის გამოწვევები და მოლოდინები“. მინდა გაცნობოთ, რომ ჩვენ იგი ვთარგმნეთ ქართულ ენაზე, რათა ყველას ჰქონდეს მისი ნაკითხვის საშუალება. დაგეგმილი გვაქვს, ჩვენს ჟურნალში „ქალი და ბიზნესი“ დავებეჭდოთ დოკუმენტის მოკლე მიმოხილვა.

მოსარული ვარ, რომ ახალი ორგანიზაციისთვისაც პრიორიტეტად რჩება ადგილობრივ ორგანიზაციებთან მუშაობა და სტრატეგიული პარტნიორობა.

ჩვენთვის, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციისათვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თქვენ იზიარებთ შეხედულებას გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაზე, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების აუცილებლობაზე და დიდ როლს ანიჭებთ წამყვან საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ქსელებს.

პატივისცემით

მერი გელაშვილი  
მენარმე ქალთა ფონდი

ძვირფასო მკითხველებო, გთავაზობთ დოკუმენტის „ახალი ორგანიზაციის გამოწვევები და მოლოდინები“ შემოკლებულ ვარიანტს.

ახალი გერმანული საეკლესიო ორგანიზაცია სისტემატურ მზადყოფნაშია იმ მოლოდინებისა

და გამოწვევებისათვის, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის ფორმას და მის გარემოს. „ჩვენ ვგეგმავთ გამოწვევების ანალიზს იმისათვის, რომ გავუმკლავდეთ გამოწვევებს და გავამართლოთ ჩვენი პარტნიორების მოლოდინები“ (ციტატა პარტნიორებისათვის გავზავნილი წერილიდან).

ამთემასთანდაკავშირებით სამუშაო შეხვედრები ჩატარდა, შეხვედრის მომზადებისას მინერილ იქნა დიდი რაოდენობით წევრი ეკლესიებისათვის, პარტნიორებისათვის გერმანიაში და საზღვარგარეთ. EED/DW/BfdW და EED-ის დეპარტამენტების განყოფილებები ასევე მონაწილეობდნენ.

ყველა რესპონდენტისათვის დასმულ იქნა „ძირითადი კითხვების სერია. გერმანიის საზღვრებს გარეთ მყოფ პარტნიორებს დაესვათ ხუთი შეკითხვა. გერმანულ პარტნიორებს დაესვათ დამატებითი კითხვა ფინანსურ სიტუაციასთან დაკავშირებით. მიღებულ იქნა 80-მდე პასუხი.

რედკოლეგიას დაევალი მიღებული პასუხების ანალიზი, მნიშვნელოვანი ასპექტებისა და საბაზისო შეხვედრებიდან მიღებული რეკომენდაციების შეჯამება. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ღრმა რეგიონალურ და ფუნქციონალურ ანალიზს, რომელიც მიღებულია პასუხებიდან. თავები შედგენილია 6 ძირითადი კითხვის საფუძველზე.

ნაშრომი ეყრდნობა რესპონდენტების მიერ გამოთქმულ განცხადებებს. შეუძლებელი იყო პირდაპირი ციტატების მოყვანა დოკუმენტში, რადგან ეს გამოიწვევდა მის დაგეგმილზე უფრო მეტად გაზრდას.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტის პერიოდი მოიცავდა 10 და 20 წელიწადს, განცხადებების უმეტესობა ასახავდა არსებულ მდგომარეობას და ინტერესებს.

კითხვა: ჩვენი საქმიანობის კონტექსტში, რასახის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური გამოწვევების წინაშე იდგება მსოფლიო, მომავალი ორი ათწლეულის განმავლობაში, რასაკითხები იქნება მნიშვნელოვანი მომავალში და რომლები მოახდენენ ზეგავლენას ახალი ორგანიზაციის პრობლემებზე, პრიორიტეტებსა და მეთოდებზე?

პირველ შეკითხვაზე პასუხებმა გამოავლინა უმთავრესი გამოწვევები. ათწლეულების განვითარების მიზნების ჩავარდნა და მოლოდინების გაცრუება იქნა ზოგადად რესპონდენტების მიერ გამოყოფილი.

ერთ-ერთ მწვავე პრობლემად განიხილება ასევე ზრდადი სხვაობა მდიდრებსა და ღარიბებს

შორის. ეს ამკარა ხდება ბევრი ინდივიდუალური ქვეყნის მაგალითზე და განსაკუთრებით სხვადასხვა ქვეყნების შედარების შემდგომ. სოციალური საკითხი შეიძენს დიდ მნიშვნელობას და ორიენტირებული იქნება გლობალურ სისტემაზე. საკითხი ძალაუფლების გაყოფასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ მოთამაშებებს, კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის მოექცევა სათავეში. ეს კი თავის მხრივ გამოიწვევს კონფლიქტების გამწვავებას დაინტერესებულ ჯგუფებს შორის - რაც აქამდე ნაციონალური კონტექსტების ფარგლებში იყო ცნობილი - გადაინაცვლებს გლობალურ დონეზე.

რესპონდენტები შიშობენ, რომ კონფლიქტები მომავალში უფრო ძალადობრივი გახდება. უმცირესობა, რომელიც სარგებელს იღებს ზრდისგან, შეეცდება საკუთარი პოზიციის დაცვას პოლიტიკური და ძალადობრივი საშუალებების გამოყენებით.

გლობალური კუთხით სოციალურ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები პირდაპირ კავშირშია მიგრაციის ზრდასთან როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. ეკონომიკის მარცხს სამუშაო ადგილებისა და პერსპექტივების უზრუნველყოფის კუთხით მოყვება მიგრაციის შემდგომი ზრდა.

ზოგადად რესპონდენტები პესიმისტურად არიან განწყობილები ეკოლოგიური საკითხების მიმართ. უმრავლესობის აზრით, კლიმატის ცვლილებები განსაკუთრებით მძიმედ აისახება უღარიბეს ქვეყნებზე.

დიდი ყურადღება არ დათმობია მსოფლიო მოსახლეობის ზრდის საკითხს. რამდენიმე რესპონდენტის აზრით, თუ მოსახლეობის ზრდას დავუკავშირებთ მიგრაცია / ურბანიზაციას, ნათელი იქნება, რომ ეს გამოიწვევს კონფლიქტების ზრდას და სოციალურ გარიყულობას.

რესპონდენტები იმედოვნებენ, რომ ეფექტური „გლობალური მმართველობა“ უფრო დაცავს ადამიანის უფლებებს.

ყველა ერთსულოვნად თანხმდება მომავალში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების აუცილებლობაში, რადგან იგი დაიცავს საზოგადოებას ავტოკრატული სისტემისაგან და პოლიტიკური და რელიგიური ფუნდამენტალიზმისაგან.

ბევრი რესპონდენტის მიერ ხაზგასმული იქნა გენდერული თანასწორობის მნიშვნელობა.

**კითხვა: რა სახის ძირითადი გამოწვევები იქნება დიაკონალური-სოციალური სამსახურების სერვისისა და ჰუმანიტარული დახმარების წინაშე, ასევე შიდა საეკლესიო დახმარების წინაშე კითხვაში მოცემული პერიოდის განმავლობაში? როგორ შეიცვლება პოლიტიკური საქმიანობის ადგილები ინსტიტუციონალურად და რა იქნება პოლიტიკური სცენა ამ კითხვებისათვის? როგორ იქნება მიღებული ამ სფეროების ცვლილება გერმანიასა და ევროპაში? როგორ გავლენას იქონიებს ეს ცვლილება ჩვენს მუშაობაზე?**

სხვა კითხვებისაგან განსხვავებით პასუხები ამ კითხვაზე იყო ყველაზე სუსტი და მოკლე. ეს შეიძლება განპირობებული იყო იმით, რომ ძნელია განსხვავების პოვნა პირველ და მეორე კითხვებს შორის. ყველა პასუხი ეხება სუსტებთან ერთიანობას და სოლიდარულ მოქმედებას. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი თუ რატომ არის თანასწორობის საკითხები უფრო ფართოდ განხილული საზოგადოებაში? - ახალი ორგანიზაცია უნდა იყოს მზად ამ დისკუსიისათვის.

ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, თუ როგორ მოახერხებს ახალი ორგანიზაცია ბალანსის დაცვას პირველადი საქმეებისა და ლარიბების სწრაფად მზარდ ინტერესებს შორის. რესპონდენტთა ნაწილს ეჭვი ეპარება განვითარების პოლიტიკის მუშა მოდელის, 21-ე საუკუნეში დომინანტი მიდგომის ადეკვატურობაში. ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ზრდა აჩვენებს, რომ ეს მოდელი არ არის გამოსავალი: კერძოდ, აზიაში სოფლის მეურნეობამ ძალიან მცირე წვლილი შეიტანა ეკონომიკის განვითარებაში, ხოლო ძირითადი როლი ისეთმა ფაქტორებმა ითამაშეს, როგორცაა შრომის საერთაშორისო გადანაწილება, ენერჯო მომარაგება, თავისუფალი ვაჭრობისა პროტექციონიზმის გონივრული ნაზავი, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა, ახალი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა, ბუნებრივი რესურსების ადეკვატური გამოყენება.

**კითხვა: რას მოელოთ თქვენ და სხვა დაინტერესებული მხარეები ახალი ორგანიზაციისაგან? რა მახასიათებლები უნდა გააჩნდეს ახალ ორგანიზაციას, რომ შეძლოს თქვენი მოთხოვნების დაკმაყოფილება? ვის წინაშე არის ახალი ორგანიზაცია ანგარიშვალდებული და რა მოთხოვნებს ითვალისწინებს ის?**

უმეტეს შემთხვევებში რესპონდენტებმა არ მიუთითეს ის დაინტერესებული მხარეები ვისაც გულისხმობდნენ.

კითხვაზე სამი მახასიათებლის შესახებ მივიღეთ უამრავი პასუხი: მთლიანობა ტრანსფორანტულობა, დიალოგისთვის გახსნილობა, სანდობა, პროფესიონალიზმი, საიმედოობა, სენსიტიურობა და სოლიდარობა. რესპონდენტების მიერ ასევე აღნიშნული იქნა ისეთი განსაზღვრებების კომბინაცია, როგორცაა მოქნილი-კრეატიული, მოქნილი-პირდაპირი, კრიტიკული და კონსტრუქციული, საიმედო წინასწარმჭვრეტელი.

რაც შეეხება ანგარიშვალდებულებას, არსებობს მეთანხმება მნიშვნელოვან საკითხებზე სხვადასხვა დონეზე. ზოგადად, ორგანიზაცია ანგარიშვალდებული უნდა იყოს დაინტერესებული მხარეების მიმართ.

ყველა რესპონდენტი თანხმდება, რომ ახალი ორგანიზაცია ანგარიშვალდებული უნდა იყოს საზოგადოების, დონორების, მოსახლეობის და პარტნიორი ორგანიზაციების წინაშე.

ინგლისურიდან თარგმნა **სალომე ლომაძემ**

## მოკიმი ტრენინგი ~ ახალი საშუალო აღზიდვა

**მენარმე ქალთა ფონდში ახალი ჯგუფი გადის ტრენინგს ბიზნესის საკითხებზე. მონაწილეებს შორის არიან ახალბედები, რომლებიც მცირე ბიზნესში ჩართვას ახლა იწყებენ და ისეთებიც, რომლებიც სამენარმეო საქმიანობაში დიდი ხანია ჩართულნი არიან და სამუშაო ადგილის გაფართოებაზე ფიქრობენ. ყოველი ტრენინგი იძლევა საშუალებას ახალი სამუშაო ადგილები გაიხსნას, ახალი ადამიანები დასაქმდნენ და გააფართოვონ საკუთარი საქმიანობა.**

**თამარ ბერულავა:** „უკვე რამდენიმე წელია კერძო ბაზრობაზე ვყიდი სპორტულ ფეხსაცმელებს და სპორტულ კედებს. საქონლის მოსატანად თვეში ერთხელ დავდივარ. რომ შემეძლოს ყოველ კვირა საქონლის გაახლება, უფრო მეტი არჩევანი მექნება და მუშაობაც მოიმატებს. სურვილი მაქვს ჩემი საქმიანობა გავაფართოვო და მეტი შემოსავალი მივიღო.“

**მაყვალა ვაშაკიძე:** უმაღლესი განათლებით ვარ, ვმუშაობ უნივერსიტეტში, მაგრამ მცირე ხელფასის გამო ვერ ვახერხებ ოჯახის უზრუნველყოფას. მინდა მქონდეს საკუთარი მცირე ბიზნესი. ჩემი სურვილია მოვანყო მინი-საცხობი. მაქვს გამოცდილება: რამდენჯერმე, სადღესასწაულო დღეებში გამოვაცხვე ნამცხვრის ფირფიტები და გაუფუტეთ რეალიზაცია. საკუთარი თანხა რომ მქონდეს მსგავსი ბიზნესი სერიოზულ შემოსავალს მომიტანს.

**ასმათ ჩხიბორიძე:** მაქვს სათბური, სადაც სეზონის მიხედვით მომყავს სხვადასხვა ტიპის ბოსტნეული. არ მივარგა სარწყავი სისტემა. ძალიან მჭირდება წვეთოვანი სისტემა, რომლის უპირატესობა წყლის ეკონომიაა, გარდა ამისა კარგად მიენოდება მცენარის ფესვებს წყალი, არ იწვევს სარეველების ზრდას, შრომა მცირდება და იზრდება მოსავლიანობა.

**ჯულიეტა გვიჩიანი:** მინდა მყავდეს ფუტკარი, რადგან ეს ბიზნესი შემოსავლიანია. თაფლი, სანთელი შეგიძლია გაყიდო. ეკოლოგიურად სუფთა ნატურალური ნაწარმი ყოველთვის იქნება კონკურენტუნარიანი.

**ნანაჯანჯღავა:** მინდა მქონდეს ჩემი საკუთარი ბიზნესი. ჩემს ძმას აქვს რბილი ავეჯის დამამზადებელი საამქრო. გადავწყვიტე გავხსნა ავეჯის საამქროსთან არსებული სამკერვალო, სადაც შევკერავ გადასაკრავ მასალას ავეჯისთვის. ვფიქრობ სერიოზული შემოსავალი მექნება.

**გოგონა ფანგანი:** ვქსოვ დაზვით, სურვილი მაქვს მქონდეს მანქანა „ტოიოტა“, მანქანის ყიდვის საშუალება რომ მქონდეს მცირე ბიზნესს ავანცობდი და კარგი შემოსავალიც მექნებოდა.

მსგავსი სურვილები ხშირად ისმის მენარმე ქალთა ფონდის მიერ გამართულ ტრენინგებზე. ტრენინგების შემდეგ მონაწილეები თვითონ ადგენენ ბიზნეს-გეგმას. რის შემდეგაც კონსულტაციას პროექტის ასისტენტისგან იღებენ.

დიანა ყურაშვილი ამბობს, რომ ყველა მონაწილეს აქვს შესაძლებლობა მათი ბიზნეს-გეგმა დაფინანსდეს. „არიან ქალები, რომლებსაც კარგი იდეები აქვთ, მაგრამ ბიზნეს-გეგმის შედგენისას სჭირდებათ კონსულტაცია. ზოგიერთებს ფინანსური გეგმის შედგენა უჭირთ და ასე შემდეგ. ფაქტიურად მათ მოაქვთ გამზადებული პროექტი. მე ვაძლევ რჩევას სწორად იყოს მათი იდეები ფურცლებზე გადმოტანილი. ყოველთვის იმარჯვებს სიცოცხლისუნარიანი და რეალურ მოგებაზე გათვლილი პროექტი.“

**დიანა ყურაშვილი**





## კვლევის შედეგები

**პროექტის ფარგლებში მენარმე ქალთა ფონდი ახალი სამუშაო ადგილების შექმნას გეგმავს კონფლიქტისპირა სოფლებში. ამ მიზნით სოფელ ხურჩაში, კოკსა და ნაბაკევი ჩატარდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა სამენარმეო საქმიანობის იმ მიმართულებების შესწავლას, რომლებზეც უფრო მეტი მოთხოვნა იქნებოდა აღნიშნულ სოფლებში.**

ანკეტირების შედეგად მიღებული ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდა სწორი სტრატეგიის შემუშავება ბენეფიციარებთან მუშაობისათვის. სულ გამოკითხულ იქნა 205 ბენეფიციარი.

კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი უმუშევარია. ამკარა გახდა ბენეფიციარების სოციო-ეკონომიკური მხარდაჭერისათვის მუშაობის აუცილებლობა.

დამატებითი ინფორმაციის მოპოვების მიზნით, შესწავლილი იქნა სიტუაცია სოციალური მომსახურების სხვადასხვა სახეების არსებობის შესახებ.

ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე უცხო არ არის ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა სრული უმრავლესობა უმთავრეს პრობლემად ასახელებს უმუშევრობას. აღსანიშნავია, რომ სოფელი ხურჩა მოშორებულია რაიონულ ცენტრს და სოციალური მომსახურების სფეროებს. მრავალრიცხოვან დასახლებაში არ არის მომსახურების ისეთი სახეები, როგორცაა საპარკმახერო და სამკერვალო.

გამოკითხულთა 79,5%-მა გამოთქვა სურვილი ჩაერთონ მცირე ბიზნესში სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის საოჯახო მეურნეობის სფეროში დასაქმების სურვილი გამოთქვა 42%-მა, მომსახურების სფერო 34%-მა. ბენეფიციარებს შორის გამოკითხულთა დაინტერესება იყო განსხვავებული.

კვლევისას გამოიკვეთა, რომ ბენეფიციარებს აქვთ სურვილი განავითარონ მეფუტკრეობა, გახსნან მინი-მარკეტები, მინი-საკონდიტროები. საბნებისა და ლეიბების სამკერვალო.

გამოკითხულთა შორის იყვნენ მსურველები პროფესიულ მომზადებაზე: როგორცაა კომპიუტერის, ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები, ჭრა-კერვა, სტილისტის ხელობა.

გამოკითხულთა 24% საჭიროებს მცირე ბიზნესის საფუძვლების შესწავლას. ხოლო 41,5% კონკრეტული პროფესიის ან ხელობის დაუფლებას. გამოდის, რომ მცირე ბიზნესში ჩართვა და კონკრეტული ხელობის შესწავლა უტოლდება - 78,5 %-ს. ეს საშუალებას მისცემს მათ, სწორად შეიმუშაონ ბიზნეს-გეგმა და ჩაერთონ სამენარმეო საქმიანობაში.

რაც შეეხება ნაბაკევი ჩატარებულ კვლევას, გამოკითხულთა უმრავლესობამ გამოთქვა სურვილი, სოციალური მომსახურება, საოჯახო მეურნეობის სხვადასხვა სახეები შესთავაზონ მოსახლეობას.

კვლევისას გაირკვა ასევე, რომ ნაბაკევიში არ არის სოციალური მომსახურების სფეროები, არ არის პურის საცხობი, სურსათის მარკეტები.

მიუხედავად იმისა, რომ ნაბაკევი კონფლიქტისპირა ზონაა, მოსახლეობა ცდილობდა აქტიური მონაწილეობა მიეღო ანკეტირების პროცესში.

მარკეტინგულმა კვლევამ აჩვენა, რომ ანალოგიური სიტუაციაა სოფელ კოკშიც. არ არის სოციალური მომსახურების სფეროები. არ არის პურის საცხობი. პურის მალაზიაში მოტანილი პური არ ყოფნის მოსახლეობას. სხვა სასურსათო ნაწარმი ჩამოაქვთ ზუგდიდიდან ან მიმდებარე სოფლებიდან.

სურვილი აქვთ, განავითარონ როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე მომსახურების სფეროები, რადგან მსგავსი მომსახურება აქ თითქმის არ არსებობს. რამდენიმემ გამოთქვა სურვილი წინილების საჩეკი ინკუბატორის გახსნაზე.

გამოკითხვამ აჩვენა ასევე, რომ დიდი სურვილი აქვთ აითვისონ პროფესიები: ჭრა-კერვა, ქსოვა, სტილისტობა, კომპიუტერი.

გამოკითხვებმა მოგვცა საშუალება, სამივე სოფლის სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი გაგვეკეთებინა, რამაც ნათლად დაგვანახა მათი შესაძლებლობები და მოთხოვნილებები როგორც საოჯახო მეურნეობის, ასევე ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში.

მენარმე ქალა ფონდი კვლევის საფუძველზე გეგმავს კონფლიქტისპირა ზონაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

**ლიანა ყურაშვილი**

# სამუშაო ადგილი სონში

პირველად, როცა ციცინო ჯიშკარიანთან მოკვლევაზე მენარმე ქალთა ფონდის წარმომადგენლები მივიდნენ, ბევრი არაფერი გააჩნდა მენარმეობის განვითარებისათვის - მინის პატარა ნაკვეთი, ასევე სადგომი საქონლისათვის. ერთი მენველი ძროხა ჰყავდა მთელს ოჯახს. რძის ნაწარმი გაჰქონდა გასაყიდად. მიღებული თანხით ოჯახისათვის საჭირო ნივთებს ყიდულობდა. რა თქმა უნდა ეს მცირე შემოსავალი არ აკმაყოფილებდა მის ოჯახს.

„მუშაობა არ მეზარება, ყოველთვის მინდოდა მესაქონლეობის განვითარება, ყველაზე შემოსავლიანი ცხვრებია. ადვილად მრავლდება, წელიწადში სამი ბატკანი შეიძლება მოიგოს, ეს მოვლაზეა დამოკიდებული. ბატკნები ცალკე შევიძლია გაყიდო, თანაც ცხვრების გაკრეჭვის შემდეგ მატყლიდან ცალკე შემოსავალი მიიღო“ - თქვა მამინ ციცინომ.

ციცინომ ყველა ის ეტაპი გაიარა მენარმე ქალთა ფონდში, რომელიც გრანტის მისაღებად არის აუცილებელი, დაესწრო ხონში გამართულ ტრენინგ-სემინარს, გაეცნო ბიზნეს-გეგმის შედგენის სტრუქტურას. კონსულტაციის მიღების შემდეგ ბიზნეს-გეგმა საოჯახო მეურნეობის განვითარებაზე შეადგინა და მიღებული გრანტით სამი ცხვარი გადაეცა.

ციცინოს ცხვრები უკვე ნამატს ელოდებიან. ჯერ არ აპირებს გაყიდვას, უნდა გაამრავლოს. მთელი ოჯახი გახარებულია, მეუღლეც აქტიურად ეხმარება. იმედი აქვთ, მესაქონლეობის ეს სფერო მათი ოჯახის შემოსავალს მნიშვნელოვნად გაზრდის.



ხონის დასახლებაში ნანა ლიპარტელიანის ნამცხვრებს ბევრი იცნობს. მინი-საკონდიტრო „თათია“ ასე ჰქვია მის ბიზნესს. ნამცხვრების ცხოვბა ყოველთვის უყვარდა, შემდეგ ეს საქმიანობა შემოსავლის წყაროდ აქცია. ადრე ნამცხვრებს „სვანურ ფეჩში“ აცხობდა. ძალიან პრომატევადი სამუშაო იყო. როცა ტრენინგი გაიარა, საკონკურსოდ სწორედ მინი-საკონდიტ-

როზე წარმოდგინა ბიზნეს-გეგმა. მისი პროექტი სიცოცხლისუნარიანად ცნეს და ოცნებაც აუხდა.



ნანას უკვე საცხობი ლუმელი აქვს და სხვა საჭირო ინსტრუმენტები, რომელიც თავისი საქმიანობისათვის სჭირდება. უფრო ხარისხიანად აკეთებს, უფრო ჩქარა ამზადებს ნამცხვრებს. კლიენტურაც მოემატა და ოჯახის შემოსავალმაც მოიმატა.



ხონში კიდევ ერთი სამუშაო ადგილი შეიქმნა: „მარჯვე ოსტატი“ - რომელიც საკმაოდ წარმატებული გამოდგა. ამ პროექტის ავტორები ცოლ-ქმარი იზოლდა და რამაზ დარჯანიები არიან. ხონის დასახლებაში მომსახურების ამ სფეროზე საკმაოდ დიდი მოთხოვნაა. მისი ხელობით ყველა კმაყოფილია. ხონში გამართულ ტრენინგს ორივე ცოლ-ქმარი ესწრებოდა, მათ მიერ წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმა სიცოცხლისუნარიანად შეფასდა, რის საფუძველზეც მენარმე ქალთა ფონდისგან გარკვეული ინვესტარი მიიღეს საქმიანობის გასაფართოებლად.

უკვე წელიწადია ორივე ცოლ-ქმარი ამ სფეროში მუშაობს, მონიტორინგმაც დაადასტურა, რომ მათი საქმიანობა წარმატებულია. კლიენტურას არ უჩივიან და შემოსავალიც ერთიორად გაიზარდა.

ლიანა ყურაშვილი

# მქსტოვიანი მუშაოის შედეგები

## ტრენინგები

ექვსი თვის განმავლობაში მენარმე ქალთა ფონდმა ორი ტრენინგი ჩაატარა ქუთაისში. სულ მონაწილეობა მიიღო 30-მა ბენეფიციარმა. სამუშაო თემატიკიდან გამომდინარე ტრენინგები მიზნად ისახავდა მონაწილეებს შეესწავლათ მენეჯმენტის არსი, მარკეტინგი, ბიზნეს-გეგმის შედგენის სტრუქტურა.

ტრენინგების გავლის შემდეგ საკონკურსოდ წარმოდგენილი იქნა 24 ბიზნეს-პროექტი. (ვაჭრობისა და მომსახურების სფერო, ვაჭრობის სფერო, საოჯახო მეურნეობის განვითარება, მოსახურების სფერო).

წარმოდგენილი პროექტებიდან დაფინანსდა 8 ბიზნეს-პროექტი.

ტრენინგ-სემინარის მონაწილეებიდან ოთხმა დაიწყო მუშაობა. მათ ტრენინგზე მიღებული ცოდნის საფუძველზე აიღეს კრედიტი და შექმნეს საკუთარი სამუშაო ადგილი, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში.

გარდა ამისა, მენარმე ქალთა ფონდმა ზუგდიდის წმინდა გიორგის სასულიერო გიმნაზიას გადასცა ფუტკრის ორი ოჯახი, რათა გიმნაზიის მოსწავლე-ახალგაზრდობა დაეუფლოს მეფუტკრეობას და ეს მივიწყებული დარგი გამოაცოცხლოს.

## პროფესიული მომზადების კურსები

კომპიუტერული ტექნიკის შემსწავლელი კურსები ქუთაისსა და ფოთში გაიარა 21-მა ქალმა. მათ შორის ქუთაისში - 13-მა, ფოთში - 8. სასწავლო კურსები ითვალისწინებდა ოპერაციული სისტემა Windows XP- თან მუშაობას და საოფისე პროგრამების ათვისებას MS Word -2003, MS Excel-2003 , MS power-point -2003 და ინტერნეტთან მუშაობას.

ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები გაიარა 40-მა ქალმა, მათ შორის ქუთაისში-28, ფოთში -12. გაკვეთილები ტარდებოდა კვირაში სამჯერ, ორი საათის ხანგრძლივობით. პროგრამით გათვალისწინებული იყო როგორც ლექსიკური მასალის ათვისება, ასევე გრამატი-

კული მასალის შესწავლა. ნასწავლი მასალის განსამტკიცებლად გამოიყენებოდა სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოები, ტესტები და თამაშები.

რუსული ენის შემსწავლელი კურსები გაიარა ფონდი „სოხუმისა“ და მენარმე ქალთა ფონდის 12-მა თანამშრომელმა. მეცადინეობა ტარდებოდა კვირაში სამჯერ, ორი საათის განმავლობაში.

ჭრა -კერვის კურსები ჩატარდა ქუთაისში, რომელშიც მონაწილეობდა ხუთი ახალგაზრდა ქალი. მეცადინეობა ტარდებოდა კვირაში ორი დღე, ორი საათის ხანგრძლივობით.

მსმენელებმა გაიარეს ისეთი საკითხები, როგორცაა ინფორმაცია ჭრა-კერვის შესახებ. ზომების აღება, თარგების შედგენა, მოდელირება, მზა ნაწარმის შექმნა და სხვა.

დაზგაზე ქსოვის კურსები გაიარა ორმა დევნილმა გოგომ. მათ მიიღეს ის აუცილებელი ცოდნა, რაც საჭიროა ამ პროფესიის დაუფლებისათვის. უსაფრთხოების ტექნიკა, საქსოვი დაზგის აგებულება, ქსოვის დანყების მეთოდები, ზომების აღების წესი, სხვადასხვა ნაწარმის ქსოვა და სხვა.

## ორგანიზაციული განვითარება

ორგანიზაციულ განვითარებას მენარმე ქალთა ფონდში უმთავრესი ადგილი უჭირავს. ამ მიზნით ფონდის თანამშრომელი დიანა ყურაშვილი გაგზავნილ იქნა თბილისში, ოთხდღიან ტრენინგ-სემინარზე. ტრენინგის თემა იყო: „სოციალური მენარმეობა“.

მენარმე ქალთა ფონდისა და ფონდი „სოხუმის“ თანამშრომლებისათვის რუსული ენის შემსწავლელი კურსები მოეწყო.

მენარმე ქალთა ფონდის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ფონდი „სოხუმის“ მიერ ორგანიზებულ ტრენინგში, რომელიც ბორჯომში გაიმართა თემაზე: სტრატეგიული დაგეგმვა-რება.

მირანდა გვანცელაძე

## ოთხი დღე უჩვენივში

მენარმე ქალთა ფონდი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ორგანიზაციული განვითარების საკითხებს. ამ მიზნით პროექტის ასისტენტი დიანა ყურაშვილი თბილისში, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრში იმყოფებოდა ოთხდღიან ტრენინგ-სემინარზე, რომელიც ენებოდა სოციალური მენარმეობის განვითარების საკითხებს საქართველოში.

მან სიამოვნებით ისაუბრა ტრენინგის მიმდინარეობაზე, მიღებულ შთაბეჭდილებებზე.

„ტრენინგ-სემინარზე მუშაობამეტად საინტერესო იყო. მუშაობის პროცესში გამოიკვეთა, რომ სოციალური მენარმეობის იდეამ უკანასკნელ წლებში დიდი გამოძახილი ჰპოვა. სოციალური სანარმო განიმარტება როგორც კერძო, დამოუკიდებელი სამენარმეო ორგანიზაცია, რომელიც აწარმოებს პროდუქციას, ან სერვისებს, თემის სასარგებლოდ. ტრენინგმა ისაუბრა იმ ადამიანებზე, რომლებიც არიან, ან აპირებენ გახდნენ სოციალური მენარმეები. როგორც გაირკვა, სოციალური მენარმეები არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავზე იღებენ სამენარმეო საქმიანობის გარკვეულ რისკს საკუთარი, ან ბიზნესის მფლობელის სასარგებლოდ. გამოდის, რომ სოციალური სანარმო არ იქნება ორიენტირებული მოგებაზე.

გაკეთდა განსხვავება სოციალურსა და მომგებიან ბიზნესს შორის. მომგებიან ბიზნესში აუცილებელია კაპიტალი. აუცილებელია იყოს მოგებაზე ორიენტირებული.

სოციალური ბიზნესი არის სანარმო-სოციალური მისიისათვის და მისი წარმატება კი არ იზომება მოგებით, - არამედ იმით, რამდენად მიუახლოვდა მისიას.

გამოიკვეთა მისი ორი მიზანი: ფინანსური და სოციალური. ტრენინგმა ხაზგასმით ისაუბრა სოციალური სანარმოს როლსა და მასში გაერთიანებულ ოთხ ძირითად ფაქტორებზე. ეს ფაქტორებია: ეკონომიკური განვითარება, დასაქმება, საზოგადოებრივი ორგანიზაციის მდგრადობა.

სოციალურ მენარმეობაში ძირითადია დასაქმების საკითხები. სოციალური სანარმო უშუალოდ ასაქმებს, აწარმოებს პროდუქციას.



ტრენინგზე საუბარი იყო აგრეთვე, მომგებიან ბიზნესზე, რომ ამ ბიზნესში აუცილებელია კაპიტალი. საინტერესო იყო სამენარმეო საქმიანობის დაწყების ეტაპებზე საუბარი. როგორ ხდება გადანყვებილების მიღება, მზაობა რისკისათვის, შედეგების მნიშვნელობა.

საუბარი იყო აგრეთვე, ბიზნეს-იდეის მიზანშეწონილობაზე, მარკეტინგზე, ტექნოლოგიურ და ფინანსურ საკითხებზე. საფუძვლიანად იყო გაანალიზებული წარმოჩენილი ბიზნეს-იდეები ჯგუფური მუშაობის პროცესში.

განსაკუთრებით მომეწონა ტრენინგთა მუშაობის სტილი. თითოეული თემის ბოლოს 3-5 წუთი ეთმობოდა სავარჯიშოებს. თეორიულ საკითხებს ენაცვლებოდა პრაქტიკული მაგალითები, რაც მუშაობას საინტერესოს ხდიდა.

განსაკუთრებული ინტერესით განვიხილეთ მარკეტინგული კვლევის საკითხები. დამოუკიდებელი მუშაობა პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით საშუალებას გვაძლევდა სწორად გაგვეანალიზებინა ბიზნეს-გეგმის მიზანშეწონილობა. მისი სტრატეგიული გეგმა და ტაქტიკა.

ბოლო დღეს მოხდა გავლილი საკითხების შეჯამება. შეკითხვები იწყებოდა თეორიული მასალით და თითოეულ მონაწილეს იგი პრაქტიკული მაგალითების ჩვენებით უნდა დაემტკიცებინა. შეკითხვები იყო სხვადასხვა, ერთ შეკითხვაში შედიოდა მთელი თემატური მასალა. მოფიქრებისათვის გვეძლეოდა 20 წუთი.

რა მომცა ტრენინგმა? - ჩემთვის ეს თემა ახალი იყო. უფრო ღრმად ჩავწვდი სოციალური მენარმეობისა და მომგებიანი ბიზნესის განმასხვავებელ ნიშნებს. მივიღე ბევრი საინტერესო ინფორმაცია, რომელსაც პრაქტიკაში გამოვიყენებ.

ნანა ჯიქია

## პროფესიული კუჩსაზი ფოტოში

მენარმე ქალთა ფონდის საქმიანობის არეალი ფართოვდება. პროფესიული მომზადების კურსები ამჯერად ფოტოში გაიხსნა და დევნილ ქალებს საშუალება მიეცათ უფასოდ შეისწავლონ ინგლისური ენა და დაეუფლონ კომპიუტერთან მუშაობის ტექნიკას.

ინგლისური ენის პედაგოგი რუსიკო ჯგუზურია ამბობს, რომ დევნილი ქალები არ არიან განებივრებული მსგავსი ფუფუნებით. რადგან ფოტოში არც ისე ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს. მსურველი თავიდანვე ბევრი იყო, შერჩევას ისეთ გოგონებს მიეცათ უპირატესობა, რომელთაც უკვე ჰქონდათ ინგლისური ენის ცოდნის საწყისი დონე, დანარჩენები მომდევნო თვეში გაივლიან სწავლებას. ერთი კურსი სამთვიანია, მეცადინეობა ტარდება კვირაში სამჯერ, ორი საათის განმავლობაში.

„საჭირო ლიტერატურა თვითონ მოსწავლეებს მოაქვთ, დამატებით ინფორმაციას ჩანაწერების სახით ვანოდებ. ჩემი მიზანია მოსწავლეებს ვასწავლო ინგლისურად წერა და საუბარი. მოვუხსნა კომლექსები მეტყველებასთან დაკავშირებით. მეცადინეობაში ვაკითხებ ტექსტებს და ვაძლევ თავისუფალ თემას საწერად. დიდ დროს ვუთმობთ გრამატიკის და თეორიული ნაწილის შესწავლას.

თავიდან ცოტა გამიჭირდა რადგან საკმაოდ დიდი ჯგუფი იყო, სხვადასხვა კატეგორიის ხალხი. როცა ხედავ ჯგუფი კარგად ითვისებს შენს მიერ მიწოდებულ მასალებს და მონდომებულია - მუშაობა უფრო საინტერესოა.

მონაწილეებათა უმრავლესობა მოტივირებულია რისთვისაც მეცადინეობენ. ისინი მიიჩნევენ, რომ დღეისათვის, ნებისმიერ სფეროში მუშაობის დასაწყებად ინგლისური ენის ცოდნა ერთგვარ პრივილეგიას განიჭებს, რადგან მოთხოვნადი ენაა“.

ეკა კუცია - პროფესიით ფილოლოგი მიიჩნევს, რომ სამი თვის ბოლოს, ანუ კურსის დასასრულს შეძლებს ინგლისურად ურთიერთობას. „მენარმე ქალთა ფონდმა მოგვცა შესაძლებლობა უფასოდ გავიაროთ ეს კურსები, ეს ჩვენთვის დიდი შეღავათია. კარგი ატმოსფეროა, დიდი სიამოვნებით ვსწავლობ.

ნანა ცხომარია, რომელიც იურისტი, დიდი ინტერესით სწავლობს ინგლისურს რადგან მიაჩნია, რომ ენის ცოდნა მის სფეროში მუშაობისას ბევრ პრივილეგიას მიანიჭებს.

### კომპიუტერის შემსწავლელი კურსები

„კომპიუტერის შემსწავლელი კურსების გახსნა მნიშვნელოვანი იყო, რადგან ნებისმიერ

სფეროში მუშაობის დაწყება კომპიუტერთან არის დაკავშირებული“ - ამბობს პედაგოგი პეტრე სურმავა, რომელიც Word, Windos, Exsel, Pover-point- ის პროგრამებს ასწავლის.

ერთი კურსი სამთვიანია, მეცადინეობა კვირაში სამჯერ ტარდება. გაკვეთილი ერთსაათიანია.


პედაგოგი თვლის, რომ მონაწილეები განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებიან დავალებებს, ისმენენ ყველა შენიშვნას თუ მითითებას, ამიტომ მუშაობა უფრო ადვილი გახდა.

„თავიდან ცოტა გამიჭირდა, რადგან მსგავსი გამოცდილება არ მქონდა. მაგრამ როცა თვით მოსწავლეებისაგან მოდის სურვილი, რაც შეიძლება მეტი შეიძინონ, მუშაობა უფრო ადვილი ხდება“.

კურსებზე სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან, იურისტი, პედაგოგი, ექთანი... მათი უმრავლესობა პირველად დაჯდა კომპიუტერთან სამუშაოდ, თუმცა ამას მუშაობაში ხელი არ შეუშლია. მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ მიღებულ ცოდნას მომავალ საქმიანობაში გამოიყენებენ.

მაკა ღვინჯილია: „ამჟამად დიასახლისი ვარ, სურვილი ყოველთვის მქონდა კომპიუტერი შემესწავლა, მაგრამ ყველაფერი ფინანსებთან არის დაკავშირებული. ამის საშუალება მენარმე ქალთა ფონდმა შეგვიქმნა. საკუთარი თავის კმაყოფილი ვარ, პედაგოგი კარგი გვყავს და ამან სწავლების პროცესი გაგვიმარტივა“.

### მირანდა გვანცელაძე



# თქვენ გინდობთ იურიდი

მომზადა იურისტმა  
თამარ ფაჩულიამ



1. მაინტერესებს, ინდივიდუალურ მენარმეს, რომელიც არის იძულებით გადაადგილებული პირი, გააჩნია თუ არა შეღავათები საშემოსავლო გადასახადის გადახდისას?

  - განვიმარტავთ, რომ დღეისათვის მოქმედი საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის საფუძველზე, მხოლოდ დევნილის სტატუსი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისარგებლოთ საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისას.
2. ვარ მარტონელა დედა, ვმუშაობ ერთ-ერთ ორგანიზაციაში. მაინტერესებს ვსარგებლობ თუ არა საშელავათო პირობებით ხელფასის დაბეგვრისას.

  - განვიმარტავთ, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის თანახმად ასეთ შემთხვევაში თქვენ სარგებლობთ შეღავათით და არ დაიბეგრებით, თუ თქვენი დასაბეგრი შემოსავალი (თქვენს შემთხვევაში ხელფასი) კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 3000 ლარს.
3. ვარ იძულებით გადაადგილებული პირი. მაინტერესებს, დევნილის სტატუსი მათავისუფლებს თუ არა სასამართლოში სარჩელის შეტანისას სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?

  - განვიმარტავთ, რომ სამწუხაროდ მოქმედი კანონმდებლობა ასეთ შემთხვევაში შეღავათს არ ითვალისწინებს. თუ არ არსებობს სხვა გარემოება, რასაც ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლი და სახელმწიფო ბაჟის შესახებ კანონის მე-5 მუხლი.
4. სურვილი მაქვს შევქმნა შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოება. მაინტერესებს, შესაძლებელია თუ არა საზოგადოების დაფუძნება ერთი პირის მიერ?

  - განვიმარტავთ, რომ შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც.
5. შესაძლებელია თუ არა ასეთ შემთხვევაში, დამფუძნებელი და დირექტორი იყოს ერთი და იგივე პირი?

  - განვიმარტავთ, რომ აღნიშნული, შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

# Woman and Business

## N°4

### *C o n t e n t*

Meeting in Poti	←	16
Challenges and expectations of the new organization	←	18
More trainings and new working places	←	20
Survey Results	←	21
Work places in Khoni	←	22
Results of a six-month working period	←	23
Four days on a training session	←	24
Vocational Courses for Poti	←	25
Lawyer Listens	←	26

## **MEETING IN POTI**

**Results from six-month work, analysis of the performed activities, information sharing between beneficiaries from Kutaisi and Poti, setting the plans for future – those were approximate goals of the roundtable meeting in Poti, organized by the Fund of Women Entrepreneurs.**

**Among the attendees of the meeting were representatives of the Fund of Women Entrepreneurs, beneficiaries of the FWE – women entrepreneurs from Kutaisi, students of vocational courses from Kutaisi and Poti.**

The meeting was opened by Meri Gelashvili, chairperson of the Fund of Women Entrepreneurs, who talked about the mission, goal of the FWE and the activities of top priority for the organization.

Special attention was paid to the reasons for starting works in Poti.

“One of the reasons was small number of none-governmental organizations in Poti working with the IDPs. Despite that, State program envisages resettlement IDPs from Tskaltubo to Poti (particularly in Maltakva). Thus support provided from the FWE for the newly resettled IDPs in starting a small business and reaching economic independence would be of utmost importance.”

A film “Women’s entrepreneurship – business or a salvation”, prepared by the FWE was presented during the round table meeting, followed by the reflection sharing from the participants. In their opinion involvement of women into small business would be significant relief for their families, since frequently the businesses turned into household businesses, where the rest of the family members were employed as well.

Activities performed during the first half of 2010 were briefly discussed: trainings (in Kutaisi,





Zestaponi and Khoni), creation of new jobs and monitoring of them, informational works (journal, TV story and web page). It is worth to mention that staff members of the FWE have opportunities for development as well; they attend various training sessions organized by different organizations.

Project assistant, Diana Kurashvili talked about the training process in basics of small business:

